**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 27 აპრილი. მზიანი ამინდი. 26 გრადუსი. 35 000 მაყურებელი.**

**“ტორპედო” (ქუთაისი) - “დინამო” (თბილისი) 0:2 (0:1).**

**გოლები გაიტანეს – მაისურაძემ (24) – 0:1, ხუციშვილმა (67) - 0:2, ორივე “დინამო”.**

**“ტორპედო”: ლეჟავა, ჩხენკელი, მაზიიჩუკი (ებრალიძე –6), ნიშნიანიძე, ოდიკაძე, კუტივაძე, ჯანშიევი, დუნდუა, ჩხარტიშვილი, ასიტაშვილი, ხერხაძე.**

**“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე, დათუნაშვილი (ხუციშვილი - 57).**

**მსაჯი კ. დემჩენკო (მოსკოვი), გვერდითი მსაჯები ა. ულიანკინი (მოსკოვი) და ვ. ფარდმანი (კრასნოდარი).**

**დუბლიორები—4:1 დინამოს სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს — ხართიშვილმა, ძიძიგურმა, ხუციშვილმა და ვეკუამ (“დინამო”) და ნოდიამ (11-მეტრიანიდან) (“ტორპედო”)**

როგორც კი მსაჯმა პირველი სასტვენი მისცა, ცხადი შეიქნა, რომ ბრძოლას დაძაბული ხასიათი ექნებოდა. უკვე მე-2 წუთზე კუტივაძემ ზუსტი გადაცემით გაიყვანა გარღვევაზე ასიტაშვილი და დინამოელთა კარი იხსნა კოტრიკაძის თავგანწირულმა ნახტომმა. გავიდა კიდევ ამდენი ხანი და მაისურაძის მიერ მარცხენა ფლანგიდან მიწოდებულ ბურთს სულ მცირედით ვერ მიუსწრო ბარქაიამ. ეს იყო გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა.

დინამოელებს თავიანთი იერიშები ძირითადად მარცხენა ფლანგიდან მიჰყავდათ, თუმცა ცალკეულ მომენტებში იგრძნობოდა, რომ დათუნაშვილი ანელებდა ტემპს და აგვიანებდა. სტუმრებმა ცენტრში გაამახვილეს თამაში და ამან მალე შედეგიც გამოიღო. 24-ე წუთზე მაზიიჩუკი შეცდა, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენა მაისურაძემ და ტორპედოელებს ცენტრიდან მოუხდათ თამაშის დაწყება - 0:1.

მართალია, ჩემპიონი საკმაოდ ადრე დაწინაურდა, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ მის იერიშს არ ჰქონდა კოლექტიური ხასიათი. ჩამორჩენას მარცხენა ფლანგზე მოჰყვა ის, რომ მეტრეველი ხანგრძლივი დროით გამოთიშული იყო კომბინაციურ თამაშს, რაც ქუთაისელთა დაცვას საგრძნობლად უადვილებდა ამოცანას. ტორპედოელებმა გარკვეული ხნით შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და თამაშმაც ჩემპიონის მხარეს გადაინაცვლა. ერთ-ერთი შეტევისას ‘‘ტორპედომ’’ გაითამაშა საუკეთესო კომბინაცია, რომელიც უძლიერესი დარტყმით დაამთავრა ხერხაძემ. მაგრამ კოტრიკაძემ ბრწყინვალე ნახტომით მოიგერია ბურთი.

პირველი ტაიმის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მომენტი შეიქმნა 32-ე წუთზე: ბარქაია პირისპირ დარჩა მეკარესთან. იშვიათად, რომ დინამოელთა ბომბარდირმა ვერ გამოიყენოს ასეთი მომენტი. და მან მართლაც ზუსტად დაარტყა კარში. მაგრამ ამ უკიდურესად ძნელ ვითარებაში საუცხოოდ ითამაშა ლეჟავამ, რომელმაც აშკარა გოლისგან იხსნა თავისი გუნდი.

მეორე ტაიმში ნათლად იგრძნობოდა, რომ ჩემპიონს სავსებით აძლევდა ხელს გამარჯვება თუნდაც ამ მინიმალური ანგარიშით. გუნდი სწორედ ასეც მოქმედებდა - ბურთის ხანგრძლივი გათამაშებით და ფრთხილი ურთიერთდაზღვევით დაცვაში, თუმცა საჭირო შემთხვევებში თავდამსხმელები სახიფათოდ გადიოდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანზე.

ქუთაისელებმა რამდენიმეჯერ სცადეს თბილისელთა დაცვის რიგების გარღვევა, მაგრამ ყველა მათი იერიში უშედეგოდ დამთავრდა.

მატჩი იწურებოდა, როცა ანგარიში სრულიად მოულოდნელად შეიცვალა ჩემპიონის სასარგებლოდ. მეტრეველმა ცენტრში ჩააწოდა ბურთი, რომელიც მაღალ ნახტომში, ძალზე ეფექტური თავური დარტყმით გაგზავნა ტორპედოელთა კარში ხუციშვილმა.

**შ. ნიჟარაძე**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

**“ლელო”, 28 აპრილი, 1965 წ.**

**დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 28.04.65**